საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 438

29/12/2023

ბრძანება

ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციისთვის“ აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს აკრედიტაცია ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციას“ (ს.ნ.: 404574475) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე სამართავად:
1.1. უფლების, უფლებათა კატეგორიის, ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების შემდეგი ჩამონათვალისთვის:
ა) საჯარო შესრულების უფლება – მუსიკალურ ნაწარმოებებზე (ტექსტით და მის გარეშე), დრამატული და მუსიკალურ-დრამატურგიულ ნაწარმოებებზე, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებზე, პანტომიმებზე;
ბ) საჯარო ჩვენების უფლება - სახვითი ხელოვნების და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებზე, პანტომიმებზე, ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზე და ნაწარმოებებზე, რომლებიც მიღებულია ფოტოგრაფირების ანალოგიურ მეთოდებზე;
გ) საჯარო გადაცემის უფლება - მუსიკალურ ნაწარმოებებზე (ტექსტით და მის გარეშე), დრამატულ და მუსიკალურ-დრამატურგიულ ნაწარმოებებზე, სახვითი ხელოვნების და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებზე, პანტომიმებზე, ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზე და ნაწარმოებებზე, რომლებიც მიღებულია ფოტოგრაფირების ანალოგიურ მეთოდებზე;

დ) საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე - აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორების (თანაავტორების), მათი მემკვიდრეების საავტორო ჰონორარების მიღებასთან დაკავშირებით, იმ პირებისგან, რომლებსაც, საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ ვალდებულება გადაიხადონ თანხები ჰონორარის გადასახდელად ასეთი ნაწარმოებების გამოყენებისთვის, ნებისმიერი ფორმით, საჯარო შესრულების და საჯარო გადაცემის ჩათვლით (პირველი და განმეორებით გადაცემა, მავთულით და უმავთულოდ);
ე) სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლება - ავტორების, მათი მემკვიდრეების უფლებები საავტორო ჰონორარის მიღებაზე სახვითი ხელოვნების და ფოტოგრაფიის ნაწარმოებების ორიგინალების ყოველ მომდევნო გაყიდვაზე, ასეთი ნაწარმოებების ორიგინალების პირველად გასხვისების შემდეგ;
ვ) მოგების მიღების მიზნით გამოცემული ფონოგრამის გამოყენების უფლება -კომერციული მიზნებისთვის გამოშვებული ფონოგრამის დამამზადებლის და ასეთ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების შესრულების, ჰონორარის მიღებასთან დაკავშირებით, ასეთი ფონოგრამების საჯარო შესრულების და საჯარო გადაცემისთვის, ეთერით ან კაბელით ან რეტრანსლაციის გზით;
ზ) რეპროდუცირების უფლება - ნაწარმოებების ნებისმიერი მატერიალური ფორმით წარმოებისას, მათ შორის, აუდიო და ვიდეოჩანაწერების ჩათვლით, ორგანზომილებიანი ნაწარმოების სამგანზომილებიანი ასლების და სამგანზომილებიანი ნაწარმოებების ორგანზომილებიანი ასლების დამზადებისას. ელექტრონული (მათ შორის, ციფრული), ოპტიკური ან სხვა მექანიკური ფორმით, რომელიც გამოდგება წაკითხვისთვის;
თ) სინქრონიზაციის უფლება - მუსიკალური ნაწარმოების თანმიმდევრულად გამოყენება სხვა ნაწარმოებში, რომელიც მიმდინარეობს გამოსახულების სახით. (მუსიკალური ნაწარმოებით რთული ობიექტების გაფორმება);
ი) ნაწარმოების გადამუშავების უფლება.

1.2. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებაზე იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის, ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების ფარგლებში, რომელზეც ორგანიზაციას წინამდებარე ბრძანების 1.1. ქვეპუნქტის საფუძველზე მიენიჭა აკრედიტაცია.

2. ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციას” ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სრულყოფილად წარსადგენად მიეცეს 1-წლიანი ვადა. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება გამოცხადდება ძალადაკარგულად.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო